

# მეტარქის



მე ვარ მწევმის დოლი: მწევმისან კეთილმან სული თვისი  
დაჭავის ცხოვართათვის. (ითა. 10—11).

ვპოვა ცხოვარი ჩემი წარწევედული. ესრეთ იყოს სიხარული  
ცათა შინა, ერთისათვის ცალფლისა. (ლუკ. 15—4).

მოვფით ჩემდა ყოველნა მაშურალი და ტვირთ-მძიმენი  
და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 14

1883—1894

15—30 ივლისს.

შინაანთი: ჭიდევ ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ აღმრული კითხვისა გამო.—პედა-  
გოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.—მნიშვნელობა მოვალეობისა და სიყვარული  
ჭიშვილის მისადმი.—სასტორიო მასალა.—პასუნი ნ. ნიკოლაის მოსარჩევს ბ. დ. დევიძეს.—ახალი ამბები და შენ. შვენ-  
ჯი.—ღოთისმშობლის მიმართ (ლუქ).—საეჭვო კითხვების განმარტება.—შეწირულისანი.—კალინდარული ცნობა.

კილვა ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების  
გეზდვის შესახებ აღძრული კითხვისა გამო.

აგერ ორი-საში წელიწადი გადის, თითქმის,  
მას აქეთ, რაც კითხვა აღძრეს, რომ ჩვენი  
საეკლესიო წიგნების ბეჭდვა მოსკოვში გადა-  
ტანილიყო. ამას ზოგიერთები იმ მოსაზრებით  
ურჩევდენ, რომ ჩვენი წიგნების ბეჭდვა, ვითომ,  
უფრო გადადიდებოდა და წიგნებიც უფრო  
იაფად დაიბეჭდებოდა. მეორე საბუთი ჩვენი  
საეკლესიო წიგნების ბეჭდვის გადატანისა  
მოსკოვში, ვითომც, ის იყო, ზოგიერთების  
აზრით, რომ მოსკოვის სტამბაში ის შეცდომე-  
ბი აღარ მოხდებოდა ჩვენს წიგნებში, რომე-  
ლიც, ვითომც, თფილისის სტამბებში ხდება

ხოლმე. ამ კითხვის შესახებ არა ერთ-  
ჯერ გამოგვითქვას ჩვენ ჩვენი აზრი საქ-  
ვენოდ და ვინც თვალიურს ადევნებდა ჩვენ  
სტატიებს, ის, დარწმუნებული ვართ, კარგად  
შეიტუობდა ამ საქმის გარემოებას.

საქართველოს სინადალის კანტორის  
დღეს განუზრახავს ოთხი საეკლესიო წიგნის  
დაბეჭდვა და ამიტომ ჰერიებს საჭირო ცნობებს,  
თუ რამდენად დაუჯდება მას ამ ოთხი წიგნის  
დაბეჭდვა. დასაბეჭდი წიგნებია შემჟევი: მარხვა-  
ნი, კომილი, ე. მის და ახალი აღმა. ვიდრემდის  
ამ წიგნების ბეჭდვას ჯერ კადევ არ შესდგო-  
მოან, ვისწრაფათ, რომ რამდენიმე ჩვენი მო-  
საზრება გამოვსთქვათ საზაგადოების წინაშე  
ჩვენი საეკლესიო და საღმრთო წიგნების ბეჭ-

\* 034561

დვის გაიაფების და გაადვილების შესახებ. ვინაც ჩვენი ეკლესიების სილარიბე იყის, დარწმუნებული ვართ, ის უოველთვის ისურვებს, რომ საეკლესიო წიგნები, რაც შეიძლება, იაფად იბეჭდოთ. ამისათვის, ვგონებთ, ჩვენი მოსაზრება და რჩევა უადვილო არ იქნეს.

ცხადია, რომ დღეს ბევრად უფრო ნაელებ ფასად დაიბეჭდება ჩვენი საეკლესიო წიგნები ჩვენშივე, ვიდრე მოსკოვში. ეს ადვალი წარმოსადგენია. 30-40 წლის განმამავლობაში სტამბებში ბევრი ცვლილება მოხდა; ამ ცვლილებათა წეალობით წიგნების ბეჭდვის და ქალალის ფასმა დაიწია. ამათ გარდა არის კიდევ სხვა ღონის ძება, რომლის წეალობით წიგნების ფასი კიდევ უფრო ძლიერ დაიწევს. რა ღონის ძებაა, რომელიც წიგნების ბეჭდვას აადვილებს? პირველი ღონის ძება არის ის, რომ წოთლი ფერის ასოების ბეჭდვა მოვაპოთ წიგნებში და სატიბიკონე სიტუვების ასოები არია ებითვე განვასხვავოთ. მოგეხსენებათ, რომ წინეთ ჩვენში საეკლესიო წიგნებს სულ შავი ფერით ბეჭდავდენ და შიგა და შიგ ტიბიკონის განსამარტებელი სიტუვების ასოები კი გნახვავდებოდა მომცრო ასოებით. ამას ცხადათ ამტკიცებენ ჩვენს ეკლესიებში დაშთენილი დღემდისინ და დღესაც სახმარი ძველი საეკლესიო წიგნები: გონდაკი, სადღესასწაულო შემოკლებული, დღი კუროხევანი და სხვანი.

არ ვიცით, რისთვის შემოიღეს სინგურით ბეჭდვა სატიბიკონე სიტუვებისა შიგა და შიგ? ხშირად ხედავთ, რომ მთელ ორ გვერდზე ერთი ასო არის მარტო სინგურით დაბეჭდილი და სხვა სულ შავი ფერით. ზოგიერთები ამბობენ რომ სინგურით თუ არ არის წიგნში შიგა და შიგ სატიბიკონე სიტუვები დაბეჭდილი, რადაცა შნო არა აქვს წიგნშსათ; ამას გარდა წასაკითხავი სიტუვები თუ არ გაირჩა სატიბიკონე სიტუვებისაგანაო, შეიძლება მკითხველი წასცდეს და ტიბიკონის განსარმატებელი სიტუვებიც წაიკითხოს. შნოს და სილაზათის შესახებ თუ ვიტუვით, ჩვენ ვგონებთ, უკვეთესი იქნება, რომ ოქროთი იუს მოვარაუებული წიგნ ს ასოები. მაგრამ ჩვენ აქ უკრადლება უნდა მივაქციოთ ეკლესიების შეძლებას. რაც აშავებდა, მაგა-

ლითებრ, ან რაც აშავებს დღეს ის წიგნები, რომელიც სინგურით არ არის ნაბეჭდი შიგა და შიგ, არამედ სინგურის მაგიერ მომცრო ასოებით გნახვავდება საკითხავი არა წასაკითხავი— საგან? მკითხველი, რომელმანც წიგნის კითხვა და ტიბიკონი იყის, არასოდეს არ წაიკითხავს ეკლესიაში იმას, რომელიც წასაკითხი არ არის. რომელიც უკიცია კითხვაში, მისთვის ერთია, რომელი ასოებითაც უნდა იყოს დაბეჭდილი.

მოსკოვის სინოდის სტამბაში შიგა და შიგ საეკლესიო რუსული წიგნები სინგურით იბეჭდებათ, ამბობენ. მართალია, სლავანურ ენაზე და საეკლესიო წიგნები შიგა და შიგ სინგურით იბეჭდებიან, მაგრამ იქვე უკელა წიგნები თითქმის მავი ფერითაც იბეჭდებიან და სინგურის მაგიერ ორ სხვა და სხვა ასოს ხმარობენ გასარჩევად. შეძლებული ეკლესიები ძვირფას წიგნებს უიდულობენ და შეუძლებელი კი იავი ფასიანს. ამას გარდა მოსკოვის სინოდის სტამბაში დღეს მოპენებულია ისეთი საბეჭდავი მანქანა, რომ ერთსა და იმავე დროს არია ფერით იბეჭდება წიგნები. მაგრამ ჩვენ მათი წახედვა არ გვარგებს, რათგან ამისთანა მანქანა თვილისში არ მოიპოვება და მისი მოპოვებაც ძვირად დაჯდება; ამას გარდა არც ერთ სტამბას არ მისცემს ხელს ისე მცირე რიცხვი ბეჭდოს წიგნებისა, როგორც ჩვენი საეკლესიო წიგნები იბეჭდება. ვგონებ 1860 წელშია დაბეჭდილი «თვენი» დღესასწაულებისა 850 ცალი და ოცდა თუთხმეტი წლის განმავლობაში გაუიდულა რაღაც ას ორმოცდა ათი ცალი და ამდენი წიგნების დასაბეჭდი ფასი უსარგებლოდ არის გაჩერებული. ამისათვის საჭიროა, რომ სინგურის ნაცვლად ვიხმაროთ ათი ნომრის ასო და ერთი ფერით იბეჭდებოდეს თუ უკელა არა, ზოგიერთი საეკლესიო წიგნები მანც, რომ ამით ჩვენი წიგნები გაიაფეს. სინოდის სტამბას მეათე ნომერი ხუცური ასოებისა არ ჰქონდა და 60 წლებში არც ასაკი იმოვებოდა, მაგრამ დღეს, მადლობა ღმერთს, ეს ასოები იმოვება და რიგია ვისარგებლობა მით.

წიგნების სიიათე ძლიერ დამოკიდებული ქალალზედაც. ქალალზე უნდა იყოს სქელი და მტკიცე და მის თეთრ ფერს მაგდენად კურად-

დებას არ უნდა ვაქცევდეთ. წინეთ ჩვენი წიგნები მოჟურჯო და მომავო სქელ ქაღალდზე და იძეტ-დეპონდა. ამ ბოლო დროს კი ისეთ თხელ ქაღალდზე დაიწუს ბეჭდვა, რომ ხუთ-ექვს წელს იქით ფურცლები იხევა და წიგნები ფუტ-დება. თეთრი ქაღალდი ძვირია და არც იმდენად მტკცეა, როგორც მომავო ქაღალდი. რიგია ამაზე უკრაფლება იქნეს მიქცეული.

საჭიროა უკრაფლება მიქცეს დასახეტდავი წიგნების რაოდენობას და მის დაკაზმას. და-ლი ხანი არ არის, რაც უამნი და კონდაკი და-ბეჭდა. ეხლო საჭირო შეიქნა ისევე მათი და-ბეჭდა. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ეს წიგნები დაბეჭდილიყო სამი ათასამდინ, ჯლეს მათი დაბეჭდვა საჭირო აღარ შეიქნებოდა და მათი ფასიც ნახევაზე უფრო ნაკლები იქნებოდა. მაგალითებრ სინოდის განტორას დაუჯდა უამნი სამ მანეთად, კონდაკი არ მანე თად და ორს ხაზი და.

წიგნების დაკაზმას, უდის გაკეთებასაც დაიღი ანგარიში აქვს წიგნების სიიათე-სიძვირეზე. წიგნები შეიძლება ბევრი დაიბეჭდოს, მაგრამ დაკაზმოთ ხუთას-ხუთასის მეტი არ უნდა და-კაზოს. როგორც უნდა დაკაზმოს ხუთასი და ისე შემდეგ კიდევ უნდა დაკაზმოს ხუთასი და ისე შემდეგ. ამასთან უოველოთვის უნდა იუს დაუ კაზმავი წიგნებიც გასასუიდელი. ხმირად ბევრია მსურველი, თვითონ დაკაზმინოს წიგნი თავის სურვილისამებრ, ამ შემთხვევაში, თუ დაუკაზმავი წიგნები იქნება, არც მუიდველი და არც გამ-უდველი წერტილი ირ იქნება.

ათ თუთხმეტს წელს იქით გარგიუდაც რომ ჰქონდეს წიგნს, მაინც გაფუტება, თუ მშრალ ადგელას არ არის წიგნთა საწყობი და, რასა-კვირველია, საზარალო იქნება დაიღი ხნით გაკეთება უდისა მუიდველისა და გამუიდველისა-თვისაც. აიღეთ, მაგალითებრ, მოსკოვში დაბეჭ-დილის თვენის უდის ფასი. ეს ცოტა ფულს არ შეადგენს და ეს ფულები ხომ უსარგებლოდ არის აგერ თცდასუთმეტი წელიწადი?. ამ ყდებში დანახარჯი ფულები დღემდისინ ერთი-ორად იქცეოდა და დღეს მათვან ერთი ფარა სარგებე-ლიც არ არის; ვინ იცის, შეიძლება დღეს ამის-თანა უდის გაკეთება უფრო იაფიც დაჯდებოდა.

აი ჩვენი მოსაზრება; არ ვგონებთ, რომ ეს ჩვენი მოსაზრება უსარგებლო და უადგილო დარჩეს, თუ საქმეს კარგად გამოვიყენოთ.

დე. დ. ლამაშიძე.

### პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საუკრადლებოდ,

დედა-ენა, მისი მნიშვნელობა, ზომები დედა-ენის სასწავლოდ პარველ დაწყებით საერთო და სასულიერო სკოლებში.

(წერილი შერვე).

დასავლეთ ევროპის და რუსეთის ყევლა გამო-ჩენილი ჰელაგოგები პირველ დაწყებით სკოლებს სხვა ნაირად დედა-ენის სკოლებს ეძაბიან. დედა-ენაო, ამბობენ საპატიო პედაგოგები და მეცნიერები, არისო დედა-ბო 'ი, საძირკელი, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული, დამკვიდრებული სხვა საგნების შეს-წავლა. ერთი ჩვენი ნიკიერი მწერალთაგანი სრულის სინამდევილით ამბობს ქართველი დედის პირით: «მერწმუნე, რომა გამოცდილია, თუ საძირკელი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია» — დაიდ, თუ დედა-ენა რიგი-ნად არ ესმის ბავშს, ისე სხვა საგნების სწავლება არაოდეს ნაყოფიერი არ იქნება. უშინესი, რუსების შესანიშნავი პედაგოგი, ისე მტკიცედ და სამართლია-ნად ლაპარაკობს დედა-ენის მნიშვნელობ-ს შესახებ ხალხისათვის, რომ აქ საჭიროდ მიმართია მისი უტყუა-რი აზრი ამ საგანზე პარ და-პირ. გადმოვალო. „დედა-ენაო, ამბობს უშინესი, არის საუკეთესო ყევლი ერთს ცხოვრებისა, ისეთი დაუმცენარი ყეველი, რო-მელიც მუდამ, შეუწყერტლივ იუურჩენება. დედა-ენაში იხატება მთელი ერთი და მისი სამშობლო, დედა-ენაში ერთს შემაქმედების ძალის წყლობით, იქცევა აზრად სურათად და ხმად ცა სამშობლოსი, მისი პატი, მისი ფიზიკური მოვლენანი, მისი ჰავა, მისი მანლორ-ველი, მთანი და დელენი, ტყენი და მინ-ლორი, ელვა-ჭექანი და ქარიზმალნი, იხატება

მთელი იუ ღრმა, საეს აზრით და გრძნობით ხმა სამშობლო ბუებისა, რომელიც ისე ხმა მაღლა ჰლალადებს კაცის სიკარულში მის ხშირად ველურას სამშობლო ქვეყნისადმი, სამშობლო ჰანგებში, სიმ-ლერებში, სახალხო პარტიის პარტია. დედა ენის კამკამა სილრმებში იხატება არა მარტი ბუნება სამ-შობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია ერის სულიერის ცხოვრებისა; თაობანი ერთი მეორის შემდეგ ჰქონდინ, მაგრამ ნაყოფი მათის მოქმედე-ბისა რჩებინ ენაში ჩამამავლის საკუთრებად. დედა-ენის სალაროში სტოვებენ თაობანი ერთი მეორის შემდეგ ნაყოფსა: გულის ლრმა მოძრაობისას, ისტორიულის მოქმედებისას, საჩრდინოებისას, აზრი-სას; სტოვებენ კვალა გამოვლილას სიხარულისას და მწუხარებისას, ერთას სიტკით მთელი ნაშისა და ნაყოფსა თავის სულიერი ცხოვრებისას ხალხი იცავს და ინახავს დედა-ენაში. დედა-ენა არის უცხა-ველები და უპრკიცეს კავშირი, რამელიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავალთა თაობათა და ჰელის მათ ერთს დიდს, ისტორიულ ცოცხალ ორგანიზმა იგი არა თუ გამომხატველია ხალხის სიცოცხლისა, იგი არის თვეთონ ეს სიცოცხლე, როდესაც ქრება ერთს ენა, ერთ ალარ არსებობსო». ჩეგნი სახელმეობანი პოვეთი გა ორბელიანიც ამას ღალადებს: «ერთი ცხოვრება, მისი ღილება, არა თუ გამომხატველია ხალხის მიწანდების თაობისას, რომელიც დიდი ხანია მიწაზ არიან ნაქცევნი. რაც კა უნახავთ და გამოუდიათ, რაც კა უკრძალით და უფერებით ჩინანდებას». უშინეული სიტყვით დედა ენა არის აგრძელებული უდიდესი მოძღვარი ერისა. როცა რომელიმე თაობა სწავლობს დედა-ენას, იგი იძენს აპრისა და გრძნობის ნაყოფა ათასის წინანდელის თაობისას, რომელიც დიდი ხანია მიწაზ არიან ნაქცევნი. რაც კა უნახავთ და გამოუდიათ, რაც კა უკრძალით და უფერებით აურაცხელ წინანდელ თაობათა გადაეცემა ბავშვა დედა-ენას შემავლობით ადვილად და უშრომელად და ბავში უდიდესი ძალით აღჭურვილი შელის ცხოვ-რებაში.

«რადეს-ც ბავში სწავლობს დედა-ენას იგი გა-რეგან ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს — იგი სეამს სულიერ სიცოცხლეს და ძლას დედა-ენის სამშობ-ლოს ძუძუდვან. დედა-ენა უხსნას ბავშს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა მას ვერც ერთი ბუნების მეტყველი. იგი ასწავლის მას ხასიათს აღმიანებისას, რომელიც გარს არტყიან, სახოვალოებისას, რო-

მელშიდაც ბავში ტრიალებს, მას იუკორიას და მის მისწრავებათა ისე, როგორც ვერ ასწავლიდა მას ვერც ერთი ისტორიკოსი. მას შეყავს ხალხის ჩამუ-ნების და პოეზიის ტაზარში ისე, როგორც ვერ შე-იყვანდა ვერც ერთი ესტურიკოსი. დედა-ენა შესძენს ბავშს აზრს იმისთანა ლოგიურ შენობათა და ფი-ლოსოფიურ შეხელულებათა, რომელთაც მას ვერ შეძენინ ებდა ვერც ერთი ფილოსოფისი და სხვ.»

ამ ზემო მოვანილი ვრცელი ციტატიდამ ნათ-ლად სჩანა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია დედა-ენას რამელიმე ერთს არაებობასათვის. პირელ დაწყებით სკოლებში დედა-ენის სწავლების მიზანი იმაში უნდა მდგომ რეაბილი, რომ ბავშს ცხადათ ესმოდეს, გა-გებოდეს ლიტერატურული ენა და თვითონაც ხმა-რობდე მას, როგორც წერაში, ისე ზეპირ ლაპარაკ-შიაც. თუ პირელ დაწყებითი სკოლის ბავშს კარგათ გაეკება თავის წლოვანებასთან შედარებული თხზუ-ლებათა შინაახასი, სწავლა ესმის სხვისი აზრი და თვითონაც კანონიერად გამოხატავს თავის საკუთარ აზრს, იმ შემთხვევაში ეტყობა, რომ ბავშს შეუძენია დედა-ენის შესასწავლად უაჭარიას ელემენტები. მაშასადამე რამდენიმე წლის სწავლების შემდეგ სას-წავლებელმა უნდა იქნავდის მიიყვანოს მოწაფე, რომ მას ჰქონდეს განვითარებული გონება, ცხადი წარ-მოდევნილია გარშემორტყმულ ბუნებაზე, განვი-თავებული მოსაზრება, გულის ზრახვა, მექსიერება და გრძნობები და როგორც ცველა ამის შემდეგი — კარგად უნდა ესმოდეს განათლებული ზეპირი და წერითი სიტყვა-პასუხი.

ერთი უსაჭიროები დიდაქტიკური მოთხოვნილე-ბათავანი, როგორც ცველა საგნების, ისე დედა-ენის სასწავლებლადაც, არის თან-და-თან სწავლება უნდა იწყებოდეს იმ გონებითი განვითარებითავან, ცოდნიდან, რომელიც უკვე შეძნილი აქვს ბავშს და აქედგან უნდა გაუძლევენ წან. ბავშს აქვს მცირე წარმოდგენილება იმაზე, რასაც დაკვერვებია და უნახავს, ახალ წარმოდგენილობას იძენს ბავში თან-და თან ახალ შთაბეჭდილებათა შეგროვების დაგა-რად, მაშა საღამე სწავლების დასაწყისი და მსელე-ლობა უნდა იწყებოდეს იქიდამ, რაც ყმაწვილს კარგად შეუძენია შთაბეჭდილებათა საშუალებით, რომელიც მაუცია მისთვის გარშემორტყმულ ცხო-რებას. ამის მიხედვით პირელ დაწყებით სკოლებში წერა-კითხვის სწავლა უნდა იწყებოდეს მაკალე წინა-

დადებებიდან, რომლებშიც ცხადათ სჩარს სიც-  
უცების ურთი ერთშორისა კავშირი და გრამატიკული  
დამოკიდებულებანი. ეს წინადადებანი უნდა დაიყოს  
სიტყვებად, შემდეგ მარცვლებად და ხმებად. როდე-  
საც მასწავლებელი იწყებს და შეუჯვება სწავლებას  
ბავშის მიერ ცნობილი ფაქტებიდან, ის უნდა წარუ-  
ლეს სწავლების საქმეს შეუცდომელად და შეუ-  
ფრისებლად; ამათანავე მასწავლებელი უაველოფის  
სახეში უნდა ჰქონდეს, რომ ახალი ცოდნა, სწავლა,  
რომელიც გადაეცემის ბავშს, მჭიდროთ იქმნას შე-  
კავშირებული იმ დაკარისება-ცოდნასთან, რომელიც  
ბავშს უკვე შეძენილი აქვს. ახლად შეძენილი ცუდ-  
ნა ძველ გონიძრივ მასალასთან, თავის მხრით, უნდა  
შეადგენდეს წყაროს და საფუძველს შემდეგის დასკური-  
სათვის. მაგალითად ესთქვათ — წერა-კოთხვის სწავლე-  
ბის დროს ბავშმა გაიგო, რომ გამოთქმული აზრი,  
ანუ წინადადებანი შესჯებან სიტყვებისაგან, მაშა-  
სადამე სიტყვა ყოფილა წინადადების ნაწილი. აქ  
პედაგოგიური შედგომილობის მოთხოვნილებით უნდა  
გადავიდენ სიტყვების მარცვლებად და არა ხმებად  
დაპყოფაზე, როგორც ზოგი მასწავლებელი შეჩება  
ხოლოშე. დიდადიტეტური წესების და მოთხოვნილების  
დარღვევა ხშირად მოსდიოთ მოუმხადებელ და გამო-  
უცდელ მასწავლებლებს და ეს შეადგენს იმის უმთავ-  
რესს მიზეს, რომ ბავშს კარგად არ ესმის გადაცე-  
მული ცნობები. იმის ნაცვლად, რომ მასწავლებ-  
ლებმა წაიყვანონ სწავლების საქმე წინდაწინ შემუ-  
შავებულ, სასტიკად მოფიქრებულ გეგმაზე და ახსნან  
სასწავლო მასალა ისეთის ფორმით და სისტემით,  
რომლის დროსაც შესაძლებელია მოწაფემ კარგად  
შეიგნოს, შეითვისოს გადაცემული სწავლა, ბევრი  
ჩერებური მასწავლებელი ხშირად აძლევს გაკეთი-  
ლებს სრულიად უგეგმოდ, მოუფიქრებლად, უსის-  
ტემოდ, ამ-ს გამო ხშირად ბავშის მიერ გასაგებ  
ცნობებთან გადასცემენ ისეთებსა, რომელთაც არა-  
უითარი ლოდიკური კავშირი არ აქვს წინად შეძე-  
ნილს სწავლასთან.

უცელა საგნების წარჩატებით სწავლება დამუკი-  
დებულია აგრეთვე სწავლების დროს თანდათანობის  
დაცვაზე. გადადი ახლოდგან — შორჩე, მარტივ და  
ადვილიდგან რთულსა და ძნელზე, ცნობილიდგან —  
უცნობზე, თვალსაჩინოდგან — განყენებულზე — ამბობს  
დიდაქტიკური კანონები, რომელიც სასტიკად და-  
ცულნი უნდა იქმნენ უცელა საგნების და გრეთვე

დედა-ენის სწავლების დროსაც. სიახლოესე და სიშო-  
რე საგნებისა პირდაპირ კი არ უნდა გვეტავე, როგორც ესმითათ ზოგ პედაგოგებს და მათ შესრი-  
შესანიშნავ პედაგოგს პედაგოგურად — ეს უნდა გვეს-  
მოდეს, გაგვევებოდეს აზრ გადატანილად ფიზიკუ-  
რიურად: დაწყე სწავლება ისეთის საგნებილება და  
ფაქტურიულებან, რომლებიც ახლაც, მონახულებები და  
საინტერესურა ბავშის კერავურების თვეს და თან-და-  
თან გადადი ისეთი საგნებები, რომელიც ცუტათ  
დაშორებული, მცირე მონათესავე და მკარეზ სინ-  
ტერესო. დედა-ენაში პირეულ დაწყებითი სკოლის  
მოწაფეთათვის უფრო გასაკვით და დახლოებული  
ისეთი მოკლე სიტყვა-პასუხი, რომელიც შედგება  
აზრით დამთავრებული წინადადებათაგან; უფრო გა-  
საგნებია ისეთი ნაწარმოება, რომელშიცაც სატყვები  
ეხება თვალსაჩინო და არა განყენებულ საგნებუ-  
აქებან ცალია სწავლის ის თანდათანობა, რომელიც  
უნდა დაუკუნა მასწავლებელს საკრიზავ მასალა  
მიწოდების დროს. მარტივი და აუვრილი ისეთი საგნებია  
რომლებიც არ განიჩევან გარეკან და მანაგან  
თვისებათა სხვა და სხვა ფერობით: იმერული კუჭ-  
უფრო მარტივია — გუთანზე, მხის საათი კუდლი, ანუ  
ჯიბის საათზე. პირეულ დაწყებით სწავლებაში უფრო  
მარტივი არის ისეთი კოთხვები, რომელიც თავის  
შედგნილობით შეეხებია არა რთულ საგნებუ-  
რომელიც ისწავლება ბავშების მიერ დაკარისებით.  
ცალ-ცალკე სიტყვების ამჟირებება პირეულად უცრი-  
ალვალია, ვიდრე კოთხვა წინადადებათა და მიელო  
სტატიკებასა, ამის მიხედვით, რაკი ბავში შეისწავლის  
რამდენიმე ასოების გარჩევას და მათ მარცვლებად  
შეერთებას, უნდა მიეცეს წასაკითხად ჯერ ცალკე  
სიტყვები, მეტმე ორის, სამის, და ოთხის სიტყვებისა-  
გან შემდგარი წინადადებები — ბოლოს მოკლე სტა-  
ტიკები, რომელთაც მოყვება თანდათან ერცელი  
მოთხოვნები, ლექსები, აწერილობანი, ზღაპრები და  
სხვა.

ლ. ბოცვაძე.

(უმდეგი იქნება).

## მნიშვნელობა მოვალეობისა და წიუგარული ჯეშმარიტებისადმი.

აზრი მოვალეობაზედ კაცს თანდაყოლილი აქვს, განუშორებლად ახლავს; მას არ შეუძლია მის გაფლენას თავი დაახწიოს. მოვალეობა განუწყვეტლილ, შეიღრობ შექსოვილია ჩევნის არსებობასთან, რა რომ ჩევნში მსჯელობის ნიჭი ფეხს აიღგამს, ამას მაშინვე გვეუბნება ჩევნი შეგნება—და იმდენად უფრო ნათლად და მტკიცედ გვარწმუნებს ჩევნ ის ამაში, რამდენათაც უფრო ძალუმად ვიწყებთ მსჯელობას და გონიფრიერ ემწიფელებით. ამასვე გვეუბნება გარუ შემორცყმული ქვეყანაც. ეს ქვეყანა იამყარებულია დაუსაბამო, უცვალებელს, პარმონიულს კანონებზე და ყოველივეს მაში ის საერთო მიზანი აქვს, რომ გვამცნოს სიბრძნე და აღასრულოს ნება ლეთისა, რომელიც არის დასაბამი და დასასრული ყოვლისა არსებისა.

კაცს აგრეთვე აქვს თავისი დანიშნულება. იგი მუდამ უნდა დარჩეს იმ არსებად, როგორ არსებათაც იყიდა შეეჭმილი ლეთისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პატივუფრიელი არ იქნება სხვებისაგან, არც თავისს თავს სცემს იგი პატივს და არც ბედნიერი იქნება იგი. მასწავლება ბედნიერებასადმი კაცს თანმიმდევრული აქვს და დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ ბედნიერებას მიაღწევს იგი მხოლოდ მაშინ, როცა იგი კეთილია, ე. ი. როცა ის, რაც მისთვის ბედნიერებას შეაღენს, ეთანხმება ლეთაებრივ განვებულებას.

ვნებათა ზედომქმედების გამო ჩევნ ხშირად ვარდებით შეცდომაში და თავისს ბედნიერებად ყოველივე ის მიგვაჩნია, რაც ეწინააღმდეგება სხვის ბედნიერებას და საზოგადო წეს-წყობილებას, მაგრამ ამის შევნებას ვერ ვახერხებთ; სინიდისი ჩაგდახოს ჩევნ, რომ ეს ბედნიერება არა და მართლაც როგორც კი ჰქმება ვნება, ყოველივე ის, რაც ეწინააღმდეგებოდა სხვათა ბედნიერებას და საზოგადო წეს-წყობილებას, გვეჩილება.

მოვალეობის აღსრულება იმდენად საჭიროა ჩევნი საკუთარი ბედნიერებისათვის, რომ თვით წვალება და სიკედილი, რომელიც, ერთის შეხედვით, უდიდესი უბედურებაა, სიხარულად იცვლებინ კეთილშობლი კაცს გონებაში, რომელიც წეალობს და

კედება, მაგრამ დარწმუნებულია, რომ იგი ემსახურება თავისს მოყეასს ანუ ასრულებს ყოველად ძლიერი ლეთის ნებას.

მოვალეობა კაცისა და აგრეთვე მისი ბედნიერებაც იმაში მდგომარეობს, რომ კაცი მუდამ იმ არსებად დარჩეს, როგორ არსებათაც გაჩენილია იგი შემოქმედისაგან. სარწმუნოებაში გამოხატულია ეს კეშმარიტება შემდეგი ლრმაზრიგვანი სიტყვებით: «კაცი შეეჭმილ არს ხატად და მზადესად ლეთისა». მის მოვალეობას და ბედნიერებას ის შეადგენს, რომ იგი მუდამ იყენებს ხატება და მზადესება ლეთისა და სხვა რამედ არ უნდა გარდაიქცეს; იგი უნდა იქნეს კეთილი, ვინაიდგან ლმერთი კეთილია და წინააღმდეგ დანიშნული აქვს კაცს ამაღლებს იგი უმაღლეს სისრულემდე და შეუერთდეს ლმერთს.

ჩევნი პირველი მოვალეობაა გვერდეს სიყვარული კეშმარიტებისადმი და სარწმუნოება მისღამი.

კეშმარიტება არის ლმერთი. სიყვარული ლეთისა და სიყვარული კეშმარიტებისა ერთი და იგივეა. ჩემო მეგობარო, იქონიე გამბედაობა იყლოდე კეშმარიტებისადმი და ნუ მოსტყუედები იმ უბედურ და უგუნურ სოფისტების ყალბი და მცენრ მეტაველური სიტყვებით, რომელიც უკლვან სოფსენ დამღვცელი ეჭვიანობის თესლს.

გონება უსარგებლოა და მავნებელიც, თუ კი იყი იხარჯება კეშმარიტების დასაუარავად და გახაბათილებლად, ანუ მავნებელ მოსაზრებათა შესაღვევაზე; უსარგებლოა და მავნებელიც ჩევნება, თუმცა მას იმ ბოროტების მიხედვით, რომელიც მას თან სდევს ცხოვერებაში, გმოყვავს ის შემცდარი დასკუნა, რომ თეთონ ცხოვერებაც არ იყოს ბედნიერება და სწამს საზოგადო წესი ქეყნიერებისა, მხოლოდ მისთვის, ერთადგან იგი ხედავს მასში ზოგიერთ შემთხვევათა, რომელიც არ ეთანხმებიან საზოგადო. წეს-წყობილებას. გონება უსარგებლოა და მავნებელიც, როცა იგი, მიმხედვარე მისა, რომ ყოველივე ნიფიტება ხელშესახები და წარმავალია, იცვლის სარწმუნოებას მარტო სულიერზე, უკდავ მეზე და არავითარ განსხვავებას არ ხედავს კევლ-მოქმედებას და ბოროტებას შორის.

რომ ნამდელად კაცი და ბუნება რაიმე სახისა და ბიწიგრი იყოს, მაშ რაღა საჭირო იქნებოდა კიდევ ლრო დაგვეკარგა მათი გამოძიების

სათვის. ყველაზე უკეთესი ამ შემთხვევაში ის იქნებოდა, თუ გონიერა უჩემედა კაცს თავის მკვლელობას.

მაგრამ კაცში ცოტლობს მისწრაფება თავის-თავს დაცისადმი და ზოგერთი შემთხვევები, როგორც სულით ავადმყოფნი, არაფერს არ ამტკიცებდნ, — კაცი სცხაურობს, რათა მისწრაფოდეს კეთილისადმი, და გრძნობს, რომ ბელნიერება მისთვის იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დამდაბლდეს და გაუთანასწორდეს ჭის, არამედ მასში მდგომარეობს, რომ იგი გაკეთილშობილდეს და მიუახლოედეს ღმერთს, აქედამ ცხადია, რომ ყველაზე უკეთესი ის იქნება, თუ გონიერა აღძრავს კაცში უმაღლეს წარმოდგენალიბას მისდამი მისაწლომელ სისრულის შესახებ და დააყენებს კაცს იმ გზაზე, რომლითაც შეიძლება ამ სისრულეს მოღწევა.

თუ კი ამას შევიგნებთ ჩვენ, მაშინ გაბედულად უკუაგდებთ ყოველივე ეჭის, ყოველივე მდაბალს და ულისის მზრახველობას და ვალად დაუდენთ ჩევნს თავს გრწამდეს მხოლოდ კეშმარიტი, მშვენიერი და კეთილი. მაგრამ თუ გვინდა სარწმუნოება გვაქვნდეს, საჭიროა სურვილი ვიქონიოთ გვაწმოდეს და ყოველი გულით გვიყვარდეს კეშმარიტება.

მხოლოდ კეშმარიტების სიყვარული ვაძლევს ჩვენ სულის მხნეობას; ვინც ყოველივეში ეჭერეულობას, იგი ასუსტებს თავის სულიერ ძალას.

გრწამდეს კეშმარიტება, მაგრამ ამავე დროს სიტყვით და საქმით იყავ მქაცრი მართალი. კაცის სინიდისი მხოლოდ კეშმარიტებაში ჰპოებს მოსვენებას. ვინც სტყუის, იყი უკვე გრძნობს სასჯელს, მისი სიცრუე კიდეც რომ გამოუქვეყნებელი დარჩეს; იგი ყოველთვის გრძნობს, რომ უღალატა თავისს მოვალეობას და დამდაბლდა.

რომ საცრუეის ლაპარაკი ჩვეულებად არ გადაგექს, ამისათვის მაუცილებლად საჭიროა აღთქმა მისცე შენს თავს, რომ არას დროს არ მოიცრო. თუ ეს აღთქმა ოდნავ დაირღა, მაშინ ეჭის გარეშე, რომ მოიცრობ არა თრგზის, სამგზის და თრმოც გზის, არამედ მეტსაც. აქედამ ის წარმოსდგება, რომ ხალხის უმეტესი ნაწილი ნელ-ნელა ეჩვევა პირებელად ფრისევლობას, მეტე გარდამეტებას, და ბოლოს — სიცრუეს.

ფრიად ცუდი დრო ისაა, როცა უკელგან სიცრუე მეფობს. ამ დროს იძალება საყვავლთაო ურ-

წმუნოება, მაშინ მრავლად ჩნდებიან ფუცის დამარცხეველი და გაუტა ნლობა, მაშინ პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და მეცნიერული აზრიერების სხეა და სხეაობისა გამო საშინელი ობი იმართება პარიტების შრის, ამ დროს თითოეული პირი ცდილობს თავის მოწინააღმდეგე დამარცხის და დამდაბლოს, ამისათვის მხად არის იხმაროს ყოველივე საშუალება, უკანონო რომ იყოს იკი. ვისაც თვითონ გული წმიდა არა აქვს, იმას ყველანი ფლიდებად მიაჩნია.

შენ ისეთ დროში სცხოვრებ, როდესაც სიცრუე და განუსაზღვრელი ურწმუნოება ყოველ დღიურ მოვლენას წარმოადგენენ. მაგრავ შენ მაინც უცალ, ასცად ამ ნაკლულებენება თა. დაიმშვიდე შენი გული და გრწამდეს, რომ სხვები კეთილ-საიმედონი არიან, ნუ ჯავრობ, როცა სხვებს არ სწამო შენი სიმართლე შენთვის ისიც საჭმაოა, რომ შენი სიმართლე ბრწყინავს მის წინაშე, რომელიც ყოველსავე ხდება.

### სარწმუნოება.

როცა მტკიცედ დავადგენთ იმ აზრს, რომ კაცი მარტო ცხოველი კი არ არის, არამედ მასში არის ზოგიერთი რამ ღვთაებრივიც, ჩვენ აიდის კრძალულებით უნდა მოვეპრათ იმ გრძნობათა, რომელიც ხელს უწყობენ კაცის გაკეთილშობილებას. ამ გაკეთილშობილებას ყველაზე უფრო ხელს უწყობს ის გარემოება, რომ კაცი მიუხედავად უკელა თავის ნაკლულებებათა, მისწრაფების სისრულემდის, ბელნიერებისადმი; ამიტომ ჩვენ უნდა აღვიაროთ სარწმუნოება ყოველივე მისი სიმეცნიერით და აღვასრულოთ ყოველივე მისი მოთხოვნილებანი.

დე, ჩუ შეგარეუენ ფარისეველი და გაუნათლებელი კაცი, რომელიც შენ ფარისეველს გიწიდებენ, ეინაიდგან სარწმუნოება გაქვს. მით უმეტეს შენ შეცვამაში არ უნდა შეგიყვანოს იმან, რომ შენ, როგორც ქრისტიანებს, ბევრი დაბრკოლება შეგხვდება ხალხში, რომელსაც არ შეუძლია შეიგნოს ქრისტიანული სარწმუნოების უაღრესობა. ლეთის მოშიერებას არ შეიძლება უწყოდოთ ის თვისება, რომელიც ვათომ და მარტო გაუნათლებელ ხალხს შეფერის, იმისათვის მხოლოდ, რომ განათლებას მოკლებული პირი გალდებული არიან და კიდეც შეუძლია ლეთის მოშიშნი იკნენ. თუ კა

ჭაუჩათლებული კაცი ვალდებულია პატორისანი იყოს, ნუ თუ განათლებულ კაცს კი უნდა რცხვენოდეს აავით ისიპატორისა?

შენი გონიერი და შენგან მიღებული განათლების წელი შეიღინდით შეი შეგიძლია ნათლად წარმოიდგინო, რომ ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზე უფრო ჰყეტაცი სარწმუნოება არ არის; იყი შოკლებულია ყოველი შეცდომას, განდიდებულია, წმილაა სხვებზე და მასში უმცირესად გამოხატულია დეთაგრძევი ხასიათი. მხოლოდ ქრისტეს სარწმუნოებამ დარჩა და გავარცელა ხალხში კეთილი ზნე-ჩეველებანი და მოსპონსონობა. არც ერთ სარწმუნოებაში ისე ცხადათ არ არის გამოხატული კაცთა ნათესაობა ღმერთთან და ის, რომ ჩევნ ყველანი თანასწორი ვართ დეთის წინაშე, როგორც ეს გამოხატულია ქრისტეს სარწმუნოებაზი.

განსაჯე ყოველივე ეს და განსაკუთრებით მიღები სახეში ზეურ ყველობა ისტორიულ საბუთებისა, რომელთა შეცვლა არ შეუძლია არაეითარ პირუთნელ კრიტიკას. რომ ამ საბუთების მნიშვნელობაზე აზრი არ შეგაცლევონოს ზოგირთმა, კითომ და საბუთებმა, მოიგონე მრავალი რიცხვი იმ გამოჩენილ პირთა, რომელთაც მიღებს ეს დამტკეცებანი სარწმუნოდ ჩევნის დყვილების პირები მამათაგან დაწყებული ეხლანდელი ჩევნი დროის მსწავლულებამდე. ამ მსწავლულ პირთა წინააღმდეგ არც ერთ ურწმუნო კაცს არ შეუძლია სოქეს, რომ იგინი უციცნი ჟყვნენ.

ბეკრინი გამოჩენილი და ლრმად განათლებული კაცი მთელ თაესის სიცოცლეზი კეშმარიტი ქრისტიანე ჟყვნენ. დამტკეცება აღარ უნდა მას, რომ ქრისტიანობასა და უმაღლესად განსწავლულ და განვითარებულ გონიერას ზორის სრული თანხმობაა, მხოლოდ ვიწრო და განუვთარებელ გონიერის მექონე პირთ შემცდარი ზეხელულება აქვსთ ქრისტიანობაზე.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

საისტორიო მასალა,

ივანე ბატონიშვილის წინადაღება გიორგი XIII დმდობრივი მირთმეული.

(გაგრძელება \*)

მექქუსე. რაოდენიცა არიან კომლნი სომეხნი, ფრანგნი, ურიანი და თაორები, აღმრიცხნენ სრულიად საქართველოსა შინა, და განიყენენ სამხარისხად: პირველმან კომლმან და შემძლებელმან მოვცეკ მახთა ოთხი თუმანი, მეორე ხარისხისამ თარი თუმანი და მესამისამ ერთი თუმანი, ხოლო ამათზედ კიდე დაბალთა ხუთი მინალთუნი და კიდე დაბალთა ორი და ათი შაური. ეს სახედვე საყდრის ყმათ სომეხთა და თათართა ყმათაცა სამეფოდ ხარჯი, ხუთის მინალთუნიდამ ერთს თუმნამდინ შეძლებით, და სხვებ არა ეთხოვებოდესთ რაყოველს წლის თაეს აკრეფდენ თავის თავისინი მოხელენი და მოაბარებდენ ხაზანადართა დანიშნულთა კაცთა.

მეშვიდე. სამეფოს დერბით იყოს დანიშნული ქალალი სოგლის და ან ვინც მამულს გაცყიდდეს და იყიდდეს ან თამასუეს მასცემდეს ის რაოდენათაცა ღირს და არს ასალები ვალი, თუმნზედ ათ შაურს სამეფოს მისცემდეს და იმ ქალალზედ დაიწერებოდეს, თუ ვინმე სხვა ქალალით შეეკრინენ ერთმანერთსა, ერთი ორათ ჯარიმა გარდახდეთ და ამავე ლერპიანს ქალალზედ დაუწერონ ერთმანერთს.

მერვე. რაც სავაჭროთ შემოვიდეს ქალაქში ბავის სითარხნე ნუ იქნება. და თუ ეკკლესიის ყმავინმეა თარხანი, ამასაც გამოერთოს და ეკკლესიას გაუჩინეთ რამე ნაწილი. ამისთვის ვინც თარხანი არიან სხვასაც ბეკრი შემოაქვთ სავაჭრო და ამაში ბეკრი აკლდება ბაქსა.

აგრეთვე, იმედებოდეს გაზეთი თვეში თრჯელ: აქედამაც იქნება შემოსაქადი და საღხნიც შეეჩივება:

მერვე. ყოველი იჯარები სადედოფლო დაიღოს სამეფოდ და აგრეთვე სოფლები, ამისთვის დელიფლები ისევ მეფის ხარჯზედ არიან, და ამათი შემოსავალიც უბრალოდ იკარგება.

**მეცხრე.** სამეფო ყმის დებულება იჯარით ვაჭრებს მიეცესთ თეთრად ლვინოც, პურიც, საკლავიც და სხვაც, და მეფეს ექნების ჯამგირი, ვ-თარიც შევნის, აგრეთვე სუფრის ხარჯი.

**მეათე.** რაც საბალახეებია სამეფოდ აქალები, ესეცა იჯარით თეთრზედ მიეცეთ ვაჭართ.

აგრეთვე ქურდების შეიღეული და დაელისა ხუთისთავის და აგრეთვე ნაპორის საქონელისაც, უპატრონოსი და საქერიოცა და ბეითალმ-ნი, აგრეთვე ბეითალმანი მამული გასამურელო, ოდესუანვე უბოძოს მეფეშ თეისთა მონათესავთა, ესენი დაფასდეს და თუმანზედ ათი შაური მეფეს მიერთოს წყალობის წიგნისათვის.

**მეათეორმეტე.** მაღნები რაოდენ შეიძლებოდეს, ან მეფემ თავის ხარჯით ამუშაოს და ანუ იჯარად-რებს მისცეს, და ყოველივე გამოსავალი: ოქრო თუ ვერცხლი თუ სპილენძი შუა გაიყონ; მუშა მოიჯა-რადრის რიცხეში იყოს იმის ხარჯზედ. ვჰვონებ-ეს კარგი სარგებლობა იქმნების.

**მეათეორმეტე.** გნჯისა და ერევნისა მახთაც უნდა ბარდებოდეს ხაზინადარს.

**მეათვამეტე.** სამეფო საღედოფლოს საკუთ-რიათ ბალთა, ვენახთა, სანალიროთა, წყლებ-თაც უნდა ვაჭართ მისცემდეთ თეთრად, და ესეცა ხაზინადარს ბარდებოდეს. ყოველთა ამა გუართა შემოსავალთაგან, ვჰვონებ ჩემის ანგარიშით, დადგეს რიცხე თეთრისა, ოცდა ხუთი ათას თუმნამდი.

**მეათოთხმეტე.** რაღაც გვარით არის სახელო, ენიც მოკვდეს და მერე მისი შეილის მმასა თუ ბიძაშეილს მიეცეს მისივე სახელო. მამით ქიზიყის მოურავს შემდეგს რომ მიეცეს სახელო იმას უნდა მიეცეს წყალობის წიგნით; სიგელი იყოს სამეფოსავე ლერძით დაბეჭდილი, ფასი ამასა იყოს ორმოცდა მოელოს და ქალაქის მელიქის მოადგილისა, ერისთვის მოადგილისა, ყაზახის მოურავის მოადგილისა, ქალაქის მოურავის მოადგილისა, სალთხუცის მოადგილისა და ქალაქის მელიქის მოადგილისა, აქედამ ეს შემოსავალი უნდა იყოს. ხოლო სხეათა წერილთა მოურავებთა და სხეათა ადგილთა მიხედვისამებრ ოცი თუმნილამ ოცდა ათამდინ, ხუთის თუმნისა ათამდინ და ესრეთ უშორეს. ხოლო პირ-ველისა მდინარესა, პირველისა ეშვალაშისა და პირ-ველისა ნაზირისაც, შამშადილისა, ფანგაკის და ლო-რის მოურავისა, ოცდა ათი თუმანი სიგლისა; და

ამ სახედ არ იქნება ამითაც ცოტა შემოსავალი. აგრეთვე სულთანთა, ვექილთა, აღალართა და ახენდ-სა ქალამთართა, რომელიც მისამან დადოს ორმოცდა ათა თუმანი, აგრეთვე ყაზახისა ვექილმან. ხოლო სხეათა ოცი თუმნილამ თოთხმეტამდინ.

მეათოთუთხმეტე. სამეფო ჯოგილამ, ცხერილამ, ძროხილამ და სხეილამ ამ გვარებილამ, რაც სამეფოდ არ ეჭირვებოდეს, უნდა ჰყეუანდნენ ვაჭარნი მიხე-ნილნი, ჰყიდდენ ცხენებთა, ულაყთა და ცხვართა, ერბოთა, მატყულთა და სახ. რე ძროხებთა და მოზევრ-კამეჩებთა. აქედამ იქნების კარგი შემოსავალი.

## პ ა ს უ ს ი

6. ნიკოლაძის მასარჩლეს პ. დ. დევიძეს.

(დასასრული \*)

რუსულათ ნათქვამისა, პ. დევიძე: „იცრუე, მაგ-რამ ზომაც იცოდეთ“, პ. ნიკოლაძე ასახელებდა ვილაც 500 მოსახლე კას, რომლებიც ვითომ მე მიმუშევებია, მათთვის ფული გადამიზლევნებია, მერმე წყალი კი ამიშორებია და საღლაც უდაბნოში წამიყვანია. თქვენ, პ. დევიძევ, ორაც მოვიკლით და სამასად ასახელებთ მათ. მე კი მოვახსენებთ: წამლა-თაც რომ გინდოდესთ — ერთად ერთსაც ვერ ნახავთ ჩენ ში ისეთს, რომელსაც საწულიყიძეოს არხის გა-მოყვანაში ფულით ან მუშაობით მონაწილეობა მიელოს და ამ წყლით არ სარგებლობდეს — ან ეზო-ვენახში არ მაუთიოდეს ან სარწყავად მაინც არ მი-უდგებოდეს... ისეთები კი ბევრზე მეტაც, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ, სარგებლობით კი სარ-გებლობენ (? კუნში 30-მა მოსახლე გლეხმა ბალ — ძეგბმა, უმონაწილო ხალხმა, სამ-თვალი წის-ქილი აშენებს). მაშ საიდან გააჩინეთ თქვენ ეს 300-500 ჩემგან დასჯილი მონაწილეები? რატომ მათს სოფელს არ ასახელებთ? აქ რალაც მაზეზი უნდა იყოს. იქნება თქვენებურები, ჯიხაშლები არიან

\*) ი. მწერესის — № 13, 1894 წ.

ისინი, ბ. დევიძე? მე და თქვენ რომ გავიგოთ, ან კი უკადეთ კიდევ, თუ თქვენ, ბ. დევიძე, აქ ესჩებ ლაპარაკობთ, — ეს როდი ქმარა. მე და თქვენ ისიც მშენებირათ ვიცით, რომ იმ თქვენს 300—500 კომლს ჯრისმლებს, თქვენის მათ შორის კარგათ ყოფნით — ერთი კაპეიკიც კი არ დაუხარჯავსთ გუბის არხის გამოყვანისათვის; არ რეულხართ, აზრათაც კი არ მოგველიათ მონაწილეობა მიკელოთ, თუმცა გუბის არხის გამოყვანის მოთავე, თათეიშვილი, პირიქით გევერწებოდათ მონაწილეობას. მე და თქვენ რომ კარგათ ვიცით ეს, ბ. დევიძე, «ივერიის» მკითხველებისათვის საკმარისი არ არის... საქვეყნოთ რომ ლადადებოთ — ფულები გადაგვახდევინებს, წყალი კი აგვაშორესო, მე თქვენ გთხოვთ დამტკიცოთ ეგ, ესე იგრ: უარყავთ ჩემი შოსენებული, რომ თქვენ — 500 ხაზი, თუ ასიც არა — ერთი კაპეიკიც არ გაგილიათ გუბის არხის გამოყვანისთვის. თუ ამას არ იქთ, იცოდეთ, რომ თქვენ და თქვენს მფარველობასა ქვეშე მყოფი, ბ. ნიკოლაძეს, სიცრუის მქადაგებლის სახელი არ აგულებათ... მიკეირს, თქვენ მარც რამ გაიძულათ, ბ. დევიძე, ასეთი საქციელი ჩაგდინათ!

ზევით ჩეენ ამოგწერეთ დევიძის სიტყვები ჩემსკე, ვთომ «მე მსურდა რჩევაში მეტი ხმა მეშოვა და არ გამეზარებია წყალი იმ 300 მოსახლე კაცისათვის» და სხვ. აქედან სჩანს, ვთომ საბჭოს ანუ რჩევას უკლება პქონდებ გააჩინოს და მონაწილეოთა შორის და განაჩენი დახდოს, ვინ არის მონაწილე და ვინ არა. ამავე შეცდომაში შედის, რაც უფრო გასაკირცელია, — თითონ ბ. ნიკოლაძე, როგორც ას: «Совѣтъ долженъ по закону 3 декабря 1890 года, утвердить списки соучастниковъ, долженъ выдать каждому свидѣтельство на право пользованія водою» და სხვ. რომ ბ. ნიკოლაძე აქ სწორათ არ გაუკია კანონი 3 დეკემბრისა 1890 წლისა — ეს ჩეენ მათ მოვახსენეთ «Нов. Обозр.»-ის 3487 ნომრში. აქაც საჭიროა განმეორება, რომ რასაც ესენი სამაზრო საბჭოს მოვალეობათ სოფლიან, შეადგენს სამაზრო და უმთავრეს საკრებულოთა (присутствie) მოვალეობას... ნერა, ბ. ტონებო, რით ვერ წაიკითხეთ ერთხელ მაინც გულდასმით ეგ თქვენგან წამებული კანონი 3 დეკემბერსა, რომელიც მუდამ ენაზე გაფერიათ, რომ ეს ხელ და სამუღამოთ გაგევოთ მისი შინა-

რი ი?! სანამ ესრეთი საკრებულო (присутствie) ელორებოდეს რომელიმე მაზრას, მანამდის მისს მოვალეობას საბჭო კი არა, სასაპაროლოს საზოგადო დაწესებულებანი ასრულებენ...

«წერეთელს უნდოდათ, განაგრძობს ჩეენი მოდავე, როგორც ნიკოლაძე უწოდესო, უღაბნოს წისქეილისთვის კერძოთ მოეხმარა ეს წყალი». გეცოლინებათ თქვენ, ბ. დევიძე, რასხვის უწოდება ნიკოლაძე და მისი აყოლით თქვენც სოფელს გუბა უდაბნოს წისქეილებს? ჩეენი წყალი ჩეენს ეზოვენახებში გავატარეთ. «გვინდოლა მოვალემარა» კი არა, კიცეც მოვიხმარეთ და იმავ ეზოებში წისქეილებიც ავიშენეთ. მერამე თქვენ რა გული გშეცებათ? «კერძოთ» რას ჰქვიან? მაშ თქვენდა საზიაროთ რომ მოვალემარა, მაშინ ხომ არ იქნებოდა ესენი უდაბნო წისქეილები? სადაც არა დაკითხესით, სამკალათ რაომ ემზადებით?

«არავის არაოდეს არ უფიქრია (ვითომ?) წყალი წაერთმია წერეთლისთვისო, გვანუკეშებს დევიძე, თუმცა ყველამ (!) იცისო (?), რომ ეს წყალი უკანონოთ (!) ჰქონდა ნაშენით; მას (წერეთელს) წყალს არავინ ართხედა (დიდაკ გმადლობათ!) და მეტსაც პირდებოდენი (რას იხარჯებოდია?), მაშ თითონ წერეთელი რათ უნდა გამსდარიყო წინაღმდევი (მეც მიკეირს, თქვენმა მზებ!), რომ იმ უწყლოთ დატოვებულ (ვისგან? თუ დარჩენილ?) სამას მოსახლე კაცს ზედმეტი წყალი წამოეუვანა და ესარგებლათა? ამ თქვენს სიტყვებზე, ბ. დევიძე, უსათუოთ მოგანილებათ კუდიანების გადალუკვას ლექსა: «ჯარი აქეთ, ჯვარი აქეთ! შენი სეიდა და შენი ჭამე! ჩემას ჯვარი დამიწერება!» შენსას ვინ რასმე გეცალება, ბ. დევიძე, თუ რამე მოგიუვანა, რომ კიდევაც იარებდლო, ვინ გიშლას? მაგრამ, თუ მოსაყვანათ გყავს, თუ დარჩენლებში ურკვიასა, მაშ დაგვვანებია. თქვენისთანებს კი ასე მოახსენეს — ცოიცაზეოთ! სასოებას კი ნუ წარიკვეთ, ლობე-ურეს კი ნუ ეჭვდით, სიმართლეს კი ნუ დალატობთ, მოყვარეს მტრით კი ნუ ეკიდებით ამისთვის. ცოტა მოთმინებით აღიჭურეთ. „უკანონოთ გქონდათ ნაშენით“. ნაშენი რას ჰქვიან! ქუჩაში კი არ გვინახავს. მაშ კანონიერათ შოენა იმას თუ ჰქვიან, თქვენ რომ გვიბრძანებთ: ფულები გადაგვახდევინესო და, ნამდვილათ კი ერთი კაპეიკიც არავისთვის ბიგიციათ.

«თაწულიკიძეოს არხის წყალი, ამბობს დევიძე, წერეთელს ჯურალმულში ჩაუშერა, იყარგება მარტო სამის წისკილის მეოხებით და მოსაზრისათ არ გამოდგება».

ერთი გვიბრძანეთ, ბ. დევიძე, ვისთვის ურუაქართ თქვენ ამ შემთხვევაში? კაციო, გვარიცხვს დევიძე, თავისთვის კი უნდა შემობდეს, მაგრამ სხვას არ უნდა აენებდეს და აერწოვებდეს.

ამ სიტყვების შემდეგ ცხადია, რომ ბ. დევიძე ჩვენთვის რწყნს თავს, ამისთვის უნდა ეპულებოთ, რომ ჩენ, გუბის არხის მონაწილეობა, ამა ჩამოვიყენეთ ჩვენი წყალი ამ ჩენს „უდაპნოშ“, რომ ყველა მონაწილებს თავ-თავის დროზე, რაც კი გვაქვს წყალი, სარწყავათა გამოგვადგება, სამელათა და წისქელისთვისაც. ნეტა ასე სამართლიანათ თვით ჯიხიშში განაწილებია წყალი მას, ვინც მანდ თავობდა. მხოლოდ ერთში გებრალებით, ბ. ჩენი მზრუნველო! ეს ჩენი წყალი ერთობ გვეცოშავება, რაღაც ყველა ჩვენს სარწყავებს ვერ ყოფნის: ამიტომ თქვენ რომ ზედ-მეტს წყაროს მოიყვანთ, იმაში უსაძლო უნდა შეგვიჩიროთ..

ჩვენი ჭკუის დარიგებისთვის კი, თუ ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ რიგორი კაცი გამოუდგეთ, დიდათ გმაღლობთ. მაგრამ წინდაწინ ქადალიც არ არის მოსაწონი. მაგ ეთქმის დღეს მარტო ბ. ი. ნიკოლაძეს, რომელმაც თავის თავი სრულიათ დაიგინა ამ სარწყავი არხების გამოყვანაში და «ქვეანას» უფასო მოუყვანა წყალი, ისე რომ თავისი ეზო არც კა გახსერებია.

როცა თქვენც, ბ. დევიძე, მასე მოიქციეთ, უხარჯოთ მოიყვანოთ წყალს, თქვენს ეზო-ვერახს ააშორებთ და სხვისში გაატარებთ, წისქელებსაც სხვებისთვის ააგებთ, მაშინ კი სრული უფლება გექნებათ, თქვენც ნიკოლაძესთან ერთად სამართლიანათ დაგვაქადოთ თქვენი საკუთარი სარგებლობის დავიწყება და ქვეყნისთვის თავდადება.

### 5. წერეთელი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

პეტერბურგის სასახლის ეკკლესიაში ჯვარი დაწერებს დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ და დიდმა მთავარინამ ქვენია ალექსანდრეს საულომა. ლილიუგანე ჩარბაზის სროლამ პეტერბურლის ციხილან და პეტერბურგის ნავთ-სადგურიდან აუწყეს სატ ხურ ქალაქს და საზაფხულო სამყოფელს მათის უდიდებულესობის მოსალოდნელი სადღესასწაული აულო ამავე. პეტერბურგი მშვენიერად იყო მოართული ბარიალებით, ყვავილებით და ტრანსპარანტებით; აშეებული იყო პეტერბურგის შადრევანებიც, განსხვავებული მოძრაობა იყო, ყოვლის მხრით სასახლის ეტლები სინდა, აუარებელი საზოგადოება იყო. ტაროსი ხშირად იცვლებოდა.

2-ს საათზე მოვიდა პეტერბურგში დიპლომატის წარმომადგენელი, ამავე ღრის პეტერბურლიდან და კრასნოე-სელოდან მოვიდნენ სასახლის მანდილო-სანი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, მინისტრი, სტატუსების სეკრეტარი, საპატიო აპეკუნი, წევრი სასახლისა, ამაღა, ლენერლობა, და მეუზროსენი განსაკუთრებულის ნაწილებისა. პროტოპრეზის იანიშვერი და უმაღლესი სამღედელოება შეიკრიბნენ სასახლის ეკკლესის ტრაპეზში. სახელმწიფო საბჭოს წევრებმა, მინისტრებმა, ლინეგბმა, დესპანებმა და იმათ-მა მეუზლებმა დაიჭირებს ალაგი ეკკლესიაში. მესამე საათზე მობრძანდნენ გარეშე ქვენის დიდებული სტუმარნი: დიდნი მთავარნი, და დიდნი მთავარინანი. მაღვე ამის შემდევ სადღესასწაულო ეტლით მობრძანდა დედოფალი იმპერატორიცა სასძლო დედოფლით. ნეფე მობრძანდა თავის მშობელთან, ხელმწიფე მპერატორი მობრძანდა მემკვიდრე ცესარებისთვის. ამ ღრის აქტოს სასტუმროში სტატ დამებმა გაათვეს დედოფლუს გამოწყობა. გვერდით შინდის ფერ სასტუმროში შეკრებილ იყვნენ ყველა წევრი სამ-პეტერბურო ოჯახისა და აქ დალოცეს დედოფლუ. პირველმა ობერ ცერემონიმეისტერმა თავადმა დოლ-გორუოება შეატყობინა ნეფეს და ეახლა შის უმღლელოსობებს შიდა ოთახებამდეს. 3 საათზე 21 ზარბაზის გამოისროლეს და შინდის ფერის სასტუმ-როდან დაიწყო კორტეჟმა დენა სასახლის ეკკლესი-

საკუნ. შეუ ეყვლესიაში გაკეთებული იყო მაღლობი ალაგი, შინდის ფრის ხავედით და ცეითელის სიჩირით მართული. აქეე ესენა ამბიონზე ჯვარი და სახარება. შემობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი თუ არა ეყვლესიაში, დააყენა ნეფე-დელოფალი საგვირ-გვინო ამაღლებულ ალაგს. დაიწყეს მღვდელმუქმე-დება; მეჯვერებად იკენენ: მექვეიდრე ცესარევიჩ და ძმები ნეფისა, გალობის დროის „შენ გადიდებ ღმერთსა“, 101 ზარბაზანი დასკალეს. 5 საათა და ნახევარს იწყეს სასადილოდ შეკრება. ოქრო, ვერცხლი და ყვავილები ფარავდა სუფრას. შეუ ადვილას ისხუნენ ხალი ჯვარ-დაწერილი ნეფე დედ აუალი. მარჯვენი ნეფეს დაბრძანდა დედოფალი იმპერატორიცა, მარ-ცხნით ხხლად ჯვარ-დაწერილის დედაფულისა დაბრძანდა ხელმწიფე იმპერატორი. ხელმწიფეს და დედო-ფლის სავარდელს უკან იდგნენ პირელელი ხარისხანი სასახლისა, საბენეტის დედოფლის და დანაშენ-დიდებულთა სტუმართა, დიდთა მთავართა, მთავრი-ნათა სავარდელთ უკან იდგნენ კამერკერნი და ნაშენ-თა ხელმწიფის გვარეულობის წევრთა სავარდლის უკან კამერ იუნკერნი. მუჟიკას უკრავდა სასახლის ხორ. 9 სათხე პეტერკოურის დიდ სასახლეში შეკ-რიბნენ პირელელის სამის ხარისხის მექანით სამუსიკა საღამოზედ.

შემდევ სამუსიკო საღამისისა ნეფე-დელოფალი წაბრძანდა როპშინის სასახლეში. საღამისა ანთებული იყო ჩინებული ილლუმინაცია, რომელშიც პეტე-რეფი რაღაც საარაკო ადვილად გადაქცია. დაა-სრულ, პეტერგოფის ნაპირზე დასწევი შუშ-ხუნები.

ფრერელინი მისის იმპერატორებითი უძადეს-უ-ლესიბასა ღაზეროვნისა დარიშნულ იქმნა ჰოუეი-ტერინად დიდის მთავრინის ქარენია ალექსანდრეს ასულის წინაშე; პოლკოვნიკი ევრეინოვი დანიშნულ იქმნა სასახლის გამგეთ დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა.

სწორი და მეტნიერება ქრისტია-ნითბრივ სარჩემულებასა და კეთილ-ზნებაზე.

დეთისმობლის მიმინება.

(დასასრული \*).

დეთისმობლის შეიწყნარა  
მოციქულთა ცრემლი ცხელი,  
და მოებნებ იაფანეს  
კვლავ უცემბლად თვისწი ხელი!  
რა ეს ნახეს ურიათა:  
გვრწამო, გრიშაშო, —ღაღადებდენ,  
ხელ აღაურიბით ზეცად მიმართ  
მაღლობასა აღავლენდენ,  
და იქ შეოფრი ურწმუნონი  
ღავარდენ და თაყვანი სცეა...  
მარიამი დეთისმობლად და  
ქრისტე დეთ-დ და კაცად იცვენეს.  
ხალხი ბეოლემს გაეშურა,  
იოფანე დაშთა მრთელი,  
დეთისმობლის და მის ძიადმი  
ცრემლის ღერითა მვეღრებელი.  
მოციქული წინ წაუძღვა  
ქა წულის გვამს გალობითა...  
მათი გული იყო ღაღი  
დეთის სასწაულ წერაბითა.

## VI

ქალწულის გვამი დაკალეს  
ბალში, წერულებრივ წესით,  
მოციქულებიც იქ დაშენ  
გულ ამოსკვნითა და კვნესით.  
ხატი უცლისა მაქხოვრის,  
მუნ დაუცემენს ქალწულსა,  
და მთელი ღამე ლოცვითა  
დამშეიდებულ წყლულ გულა.  
ცასკრისა ქამსა მაცოვრის  
ხატი ვითა მზე გაპირინდა,  
ხმა გამოასმა იმისგან,  
რითაც მსხვერელი განკვირდა:  
«სახარებისა ქადაგნო,  
ისპირეთ ჩემი, კვალად ის

\* ) იხ. „მწევმსი“-ს №№ 11—12, 1894 წ.

«ქალწული სულით და ხორცით  
«ცხოველ იქმნების მარადის...  
მოციქულთაცა დიღება,  
ქება, მაღლობა მაუძღვნეს,  
შარავანდელით მოსილი  
რა ლვის ბრძანება მოიხვნეს.

## VII

რა გათენდა დღე შაბათი,  
ჟამის წირეა აღასჩულეს,  
და მუშაჩიზან ცისკრიფისან  
მუღმივ ლოცვა მოისურეეს.  
შეალმეტდის ილოცვებინ,  
თუმცა კი არ მუწყინეს,  
მაგრამ დიდათ დამაშერალთა.  
მიერულათ, დაიძინეს.  
ამ დროს იქმა ქეყენის ძერაცა,  
და «განეხვნეს» მაღლა ცაცა,  
და ლვისმშობლის ხორცი ზეცად  
უხილავად ალიტაცა!  
იოანნე ძილისაგან  
განკრთა ძრეასა ქვეყნიასა,  
და ძმათ უხმო მაღლი ხმით:  
განიღებეთ, ნუ გძინაეთა!  
განიღებეს, გაუკეირდათ,  
სთქვეს: «ქვეყნა იძერის რათა»?!  
იმწუხარეს: «რათ ექრ გაესძელთ  
ერთი ლამზ უძილრათა»?!  
ამ დროს თომა მოციქულმაც  
მოაწია შორით მელელმა,  
ლვისმშობლისა მიცვალების  
ჯერ არ იყო ის მხილველი.  
და ამისთვის მოციქული  
მოელოდენ თომას ამ დროს,  
რომ ლვისმშობლის მიცვალებას  
პატივი სცეს, შესხმა ჰკადროს.  
თომამ გერან მოსელისათვის  
მეტისმეტად იმწუხარა,  
ვეღარ ნახა ლვისმშობელი,  
იტირა და ცრემლი ლვარა...  
მოციქული მოიკითხა,  
მოციქულთაც უველამ,—თომა,  
ასე იყო ჩეცულება,

სურეილი და მათი ნდობა.  
თომას უთხრეს უმეტნაკლიდ  
უმისოდ აქ რაც რამ მოხდა:  
ლვისმშობლისა მიცვალება,  
ეით ძე ზეცით გარდმოხდა...  
მერმე, ძმათა თვით უამბო,  
ამ დროს იყო იგი საღა,  
და ლვისმშობლის მიცვალება  
განვებამ ვით გან უცხადა.  
სთქვა: «ინდოეთს, ნათელს ვსცემდი  
«მეფის ძეს და იმის ასულს,  
«ზეცით მეცხა: მაცვალება  
«ეგულებების წმიდა ქალწულს.  
«წარიელ გეთაამანის ბალ მი,  
«მსწრაფლ აქ ნუღა ეყოვენები  
«და ლრუბელთა აღმიტაცეს,  
«აპა აქა ვიპავები.  
«ნეცარ ხართ თქვენ, ქალწულისგან  
«მაღლი უხვად მოიხვენით,  
«სათაყეანო სასოება,  
«ლირისი ლირათ შეამკენით.  
«ვაი ჩემდა, ვერ დავვესწარ,  
«ქალწულისა მიცვალებას.  
«უკანასკრელ იმის ხილებას;  
«ძმებთან ერთად მუშაჩებას.  
«აქ შეკრებულთ მაღლით აღვსოლთ,  
«გოხოვთ ერთსა რამ სათხოვარსო,  
«შემავეურეთ მე ულირისი  
«თვით იქსო მაცხოვარსო...  
«ეს საულაეი დაკრძალული  
«ქალწულისა განალეთო,  
«მისს წმიდა გვამს ვეამბორო,  
«ჩემი თვალით მანახეთა.  
დაეთანხმა თომას ყველა  
სული, წმიდის შთავონებით,  
რამ გაეხსნათ მათ საულაეო  
შიშითა და მუკრძალებით.  
როგორც თავთა მოციქულთა  
ყველამ პეტრესა და პავლეს  
საფლავეისა მიახლება,  
ამა ორთა ლავალეს...  
პავლემ ცრემლით მოახსენა  
იოანნე მახარებელს:  
«არა ლირს ვარ, ქალწულის გვამს

სიწმიდისა დამყარებელის,  
 «ძველისა და ახლის სჯულის»,  
 «კილბანსა უფუულსა»,  
 «მე მდევნელი ეკულესის  
 «ვერ შეგახებ ცოდეთილ ხელსა».  
 «იოანე! შენ გეკუთვნის,  
 «შენა ხარ ძე ქუხილისა».  
 «შენა ხარ მკერდის მიურნობილი,  
 «დედ წოდებულ ქალწულისა».  
 იოანემ, პეტრესა და პავლეს  
 უთხრა სიტყვა სწორი:  
 «თქეენ ხართ თავი მოციქულთა,  
 «და კურ ჩეცულ თქვენვე ორი.  
 «თქეენ სადგურო სული წმიდის,  
 «სჯულის თავად დასაჯერო,  
 «ხელ ყავთ საფლავს გასახსნელად,  
 «მე საცეცხლურს დავიჭირო».  
 ლირსეულად თავს ვერეინ სთვლისო,  
 შიახლება ვერ იკადრა,  
 არა ვის სურს ხელი ახლოს  
 საფლავს, იოანეს გარდა.  
 იიძულა იოანე,  
 ხელი მიჰყო საფლავს ძრწოლით  
 იაკობი მოიხმარა,  
 სხვებიც სანთლის წინ გაძლილით.  
 გახსნეს, საფლავს შიგ ჩახედეს,  
 ნახეს საქმე საკირველი!  
 იქ ვერა რა ვერ იპოვეს,  
 მხოლოდ — სუდარ-სახვეველი!  
 თომა ამბობს: „ვერ ვირწმუნებ  
 «მე, ღვთის დედის მიცვალებას,  
 «სანემ თვით ის არ მაუწყებს,  
 «არ ინებებს მოწყალებას“.  
 თომას ყველა არწმუნებდა,  
 მაგრამ მაინც არა სჯერა,  
 ერთხელ რაც სთქვა, არ გადათქვა,  
 ვერ ვინ ველარ დაჯერა.  
 მაშეინ ცხადათ წარმოუდგა  
 ღვთის მშობელი წმიდა თომას,  
 რაც არ აწენა — დააჩრწმუნოს.  
 მისთვის ასე მიუგო მას:  
 «მოციქულო! გწამდეს ჩემი,  
 «ქვეყნით ზეცად მაცვალება,  
 «ხორციელად მაცხოვისგან

«ჩემი მასთან მიყვანება».  
 «ურწმუნოებ, მხოლოდ მისთვის,  
 «რომ იწომუნონ სხეათა მტკაცედ,  
 «ამ სასწაულს, რაც აქ მოხდა  
 «მაგ არ რწმენით დაამტკიცებ.  
 «მოხეველ თომა, მომეახლე,  
 ეს სიტყვა კულავ განუახლა,  
 თომა ცრუმლით დავარდა და  
 თაყვანისკა, მიეხლა:  
 „მრწამსო, მრწამსო, განუხრწნელად  
 „ხორციელი გიგ მარად,  
 „მორწმუნეთა სამკაულად,  
 «ზეცათ მეშელად, მწედ და ფარად.  
 ღვთისმშობელმა მოციქული  
 შეიტყო და გახარა,  
 აკურთხა და კრებული გულში  
 სასოება დამეარა.  
 მაშეინ, ერთად შეკრებულთა  
 აორცეცხს სიყვარული  
 და თვალთაგან მიეფარა  
 მორწმუნეთა სიქადული.

რ. საჯაოსეული.

სახელმძღვანელო, საყურადღებო,  
 საჭირო და სასარგებლო ცნობათა  
 განერთვილება.

საეჭვო ქითხვების განმარტება.

(სამღვდელო პირთა საყურადღებოდ).

მამათ რედაქტორი!

მორჩილად გთხოვთ განგიმარტოთ ერთი კითხვა.  
 ნებს სამრკელოში რადაცა ჩეკეულებად ჭიანებათ დამჭერა  
 ბეჭდი ბავშვის მონთვის ტაძრის დღესასწაულისა  
 დღეს. კუკედა მთხოვეს ააგშების მონათველს და კუკ  
 მომიხერხება კუკედა სურვილის აღსრულება. მე გამო-

უცხადე მრევლს, რომ ეპტემბრის მთავრობის მოხანდესათვე გა ბაკებია, მაგრამ ჩემს თხოვნას არ ასრულებენ. რაგო და მართებულია, რომ მღვდელმა სახლებში არის და სათღოს ბაკებია?

### ერთი მღვდელთაგნი:

ხშირად ვაუგებო ჩენ მრევლს, რომ იგინი რეგისად ექრ ასრულებინებენ მღვდლებს მღვდელ-მოქმედებათა, არც იმას დაეძებენ თავის დროზე ანუ დანიშნულ ალაგას იქნება ასრულებული მღვდელ-მოქმედება თუ არა. ასე მივაჩირეთ ხალხი საიდუმლოების შესრულებას და ისიც დღეს ძალაუწებურად ითხოვს ჩენგან ძევლი ჩევულებისა მებრ წესების ასრულებას, სადაც უნდა იყოს ეს. კანონით ყოველი კაცი ვალდებულია ბავში ეკკლესიაში მიიყვანოს უთუოდ მოსანათლავად. მაგრამ ზოგი პატივ-სადებ მიჩქმთა გამო შეიძლება ბავში მონათლოს სახლ-შიაც. მაგრამ ამით არავის არ შეუძლია თავის გა-მართლება და არავის ნება არ ეძლევა, ბავში სახლში მონათლოს, თუ ბავში მძიმე ავათ არ არის, ან ეჭკლესია ძლიერ დაშორებული და ან თუ ზამთრის ცული ტაროსი არ არის. როდესაც მღვდელი არ იშოება და ბავში უნათლავი კუდება, მაშინ კანონი ნებას აძლევს ყოველ კაცს და ბებისაც, რომ მოსა-ნათლავი წეალში ჩაიყვანონ სამ გზის და წარმო-სთქვან ის სიტყვები, რაც წარმოითქმის მღვდლისაგან ბავშის წყალში ჩაყვნის დროს. მაგრამ ამით მოსპო-ბილი როდია მღვდლის მოწვევა ბავშის მოსანათლავად. ყოველი მშობელი ვალდებულია მოსანათლავი ბავში ეჭკლესიაში მიიყვანოს და არავს არა აქეს უფლება, რომ კარგად მყოფი ბავში შინ, სახლში მონათლოს. ამ კითხეს უფრო დაწერილებითი განსამარტებლად ჩენ მოვცავს აქ პოდოლის ეპარქიის მღვდელ-მთავრის რეზოლუციას, დასმული ერთი მრევლის საჩივარზე, რომელშიც მრევლი უჩინდა მღვდელს იმისათვის, რომ იგი არ მივადა და სამი კვირის ბავ-ში არ მოუნათლა სახლში. აი ეს რეზოლუცია; დასმული ამა მიმღინარე წლის 25 ობერგალს: «კონ-სისტორიამ მოახდინოს განკარგულება, რომ მღვდლები მა საფუძველსა ზედა მექექსე მსოფლიო კრების მენტ კანონისა შეასრულონ ბავშის ნათვლა უთუოდ ეჭკლესიაში, და თუ ეჭკლესია ციერა, ეკკლესიის

«სტოროვების» საღომში, ანუ მღვდლის სახლში, მაგრამ რიგიან თთახში და ამით მოსპონ თავისებურია და პატივმოუკარებითი შედეგის შედეგი თავისთავ-ზედ ზოგიერთ პირთა საზაგადოებაში. საჩივარისაგან სიას, რომ პომხივანი მოშრადებული იყო წესის ასასრულებლად, (რომელ წესის ასრულება, რასა-კუროველია, იგულისხმება საიდუმლო ნათლისღებისა) მაგრამ უფრო მართალი იქნება, თუ ვიგულისხმებთ სასმელების და საჭმელების მოშრადებას მომხივისაგან სტუმრებისა და ნათლიებისათვის. ამისთანა აღ-გოლას არ არის რიგი მღვდელი გამოცხადდეს ზეთით და მირონით, ჯვრით და შესამოსლით. ამას გარდა მღვდელს ამ შეუძლია ეკკლესიის გარდა შეასრუ-ლოს ნათლის-ლება საფუძველსა ზედა ლა კანონისა მეექესე მსოფლიო კრებისა ადგილობითი მღვდელ-მთავრის ნება დაურთველად, რომელიც უნდა ახსოვ-დეს მღვდლებს და ეუბნებოდნენ ყოველთვის, რო-დესაც დაჯინებით სთხოვენ მათ სახლში ბავშის მონათვლას. კულამ ცუის, რომ მეტის სახლობის გვარეულობის პირნი, როდესაც ინათლებინ, ინათ-ლებიან ეკკლესიაში და არა სასახლეში. სასურველია, რომ მღვდლებმა უტევნონ პირებითი მრევლს ამ შემთხვევაში». ეს რეზოლუცია განმარტებას აღარ საჭიროებს.

### უ ე რ ი რ უ ლ ე ბ ა ნ ი.

#### მ. რედქტორი!

გთხოვთ ნება გვიძომოთ, რომ თქვენის ეურნა-ლის «მწერების» საშეადებით მაღლობა გამოვიჩვადოთ როგორც მე, აგრეთვე რწმუნებული ჩემმა მრევლებიც ამ შირთ, რომელთაც შემოსწორეს სხვა და სხვა ნივთები ჩემდამთ რწმუნებულ სანა სშირის წმ. გიორგის და სადაცინის ღვთასმშობლის ეკკლესიებს. აი სააც შემოწირებულა:

მეორე გილდის გაჭარის სარდაონ განეჩიდაძის მეუღლეამ მართამმა სახარების დასასკენებელი სტოლი, ღირებული თხხი მანეთი; კოლეჯსგა რეგისტრატორის ბეჭან თურმანიძის მეუღლა ბარბალე დაფარების ფასად სამი მანეთი; ელექტრია თურმანიძის ასულმა ღვთასმშობლის ხატი, ღირებული თხხი მან.; სტო-სამუშავების გასაჭერა შემოიტანეს მდ. დარბ ბეჭა-

სანის მეუღლა მართმა 1 მან., აზნაურის ზურაბ  
ტქილიშვილის მეუღლა ანამ 2 მან., აზ. დარისპან  
ტქილიშვილის მეუღლამ დესპანებ 1 მან., აზნაური  
თალასან ცეკვილიშვილის მეუღლამ ემანებ 1 მან.,  
მეორე გაღდის კაჭის მნათის დარისპანის მაღლაკელის  
მეუღლამ კასასიმ 1 მან., მეორე გაღდის კაჭის  
გარსევან მაღლაკელის მეუღლამ მართმა 1 მან.  
მეორე გაღდის მურზიან მაღლაკელის მეუღლა  
კფრისინებ 1 მანეთი, გლეხმა გაგო მაღლაკელიებ 1  
მან., დათის მაღლაკელის მეუღლებ ელისაბედმა 1  
მანეთი, მეორე გაღდის კაჭის კფრიებ მაღლაკელის  
მეუღლებ დარიკომ 1 მან., გლეხის ნიკოლოზ ზაბზი-  
ძასის მეუღლამ 40 კაპ. და მნათებ დარისპან მაღლა-  
კელიებ მაცხოველის სატი, დარტყმული 6 მან.

მ. რედაქტორ! გთხოვთ კრეოუ თემების  
უკრნალის უმწევესის საშეალებით გულითდი მაღლობა  
გამოუცხადოთ როგორც მე ისე მთელმა ჩემმა  
მრევებმა იმ პირთ, რომელთაც ჩემ მიერ გახსნილ  
სამრევლო „წერავთხვის“ სკოლას შემოსწირეს შეგირ-  
დების დასაჯდომი სტოლები: კრძინე ლაზარეს მე  
კვინიებებ თან სტოლი, ღირებული 10 მან., აზნ. ილა  
წერავთხმა 2 სტოლი ღირებული 10 მან., მეორე  
გაღდის კაჭის მართლონ გაჩენილამებ 2 სტოლი,  
ღირებული 10 მან., გლეხმა კრატანტინე ბერებებ 2  
სტოლი ღირებული 10 მან. და საკლასო დაფის ფასად  
ხეთი მანეთი შემოსწირა კაჭის მართლონ მშენიე-  
რამებ სამი მან., მართამ გენიმის ასელმა იმავე საგნისა-  
თვის 3 მან. ღმერქოს გსთხოვა ამისთანა კეთილი ბირების  
რაცხეს თან და თან კმატებითს საჭითი დადგეთ  
მარებითისა და სკოლებისა.

მღ. იაკობ გევარესიანი.

რედაქციის პასუხი.

მღ. ა. არ—ლს. თეგენი წერილი შესახებ ქუთაისის სასუ-  
ლიორო სასწავლებლისა არ იძექდება.

რედაქტორი და გამოცემელი დკ. დ. ლამაზიძე. დაზ. ცენზური. თიბლის, 30 იული 1894 წ.

Типографія редакції (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.

უ ცხრეთ ს. თეგენი წერილი შენდობის ფურცლის  
შესახებ არაფერის არ გვეუპნება და ამიტომ  
არ იძექდება. ჯგარზე მიჭედილი ლურსტე-  
ბის რაოდენობას სახალებაში წაიკითხავთ.  
ნე თუ დღემდის არ გაგრია კადეგ, რომ  
უმოგარდოა გვინდონდ მღვდლებს შეუძლიათ  
წირვა? პარაკლისი ცოცხლის არის და  
პანაშვილი გარდაცვალებულო.

გურულ მღ. ა. ჯ. ნათევგამი ბეგრია, შაგრამ სამეთონი  
ძლიერ ცოტა, ამიტომ თევენი სტაცია არ  
იძექდება.

მღ. ლ. ჩ. თეგენი სიტყვა არ იძექდება. გამოცხადე-  
ბული უნდა იყოს, სად ითვა სიტყვა და  
როდეს.

## კურიუტების ცეკვები.

თურთული	მუსულმა	კურიუტები	კურ	სალისმუტები
იურთულის	ც	გ	ც	გ
—	ი	ც	გ	ც
—	ის	ფ	ც	ფ
—	კგ	ხ	უ	ხ
—	წნ	ჩ	ხ	ჩ
ნურთულის	ხ	ფ	ხ	ფ
—	იგ	ი	უ	ი
—	კე	უ	ც	უ
—	კე	უ	ც	უ
ხურთულის	ხ	ც	ხ	ც
—	იგ	ი	უ	ი
—	კე	უ	ც	უ
ხურთულის	ც	უ	ც	ც
—	კე	უ	ც	ც
—	კე	უ	ც	ც